

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

# პროგრამა

Т Р У Д Ы

ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО  
УНИВЕРСИТЕТА



TRAVAUX

DE L'UNIVERSITÉ D'ÉTAT DE  
TBILISSI (Tiflis)

## VII

მიქვნილია სახელმწიფო უნივერსიტეტის  
დაარსებიდან XX წლისთავის აღსანიშნავ  
იუბილესადმი

## მხითარ გოშის ტრაქტატი «ქართველთათვის» და მისი ლიტერატურული წყაროები\*

XIII ს-ის დამდეგის ერთი ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტია ჩვენამდის მოღწეული, რომელიც სომხურ მწერლობას დაუცავს და რომელსაც უალრესი მნიშვნელობა აქვს ამ დროის საქართველოსა და სომხეთის კულტურულ-ისტორიული ურთიერთობისათვის. დოკუმენტის ავტორია XII—XIII ს.ს. ცნობილი სომეხი მწიგნობარი მოღვაწე მხითარ გოში, რომელიც თავისი სოფლმხედველობით მაშინდელი სომხური განათლებული საზოგადოების კონსერვატიულ ბანაკს ეკუთვნოდა<sup>1</sup>. ძველი გამოცემულია (არა ჩანს კი ვისგან) ეჩმიაძინის ჟურნალ «არარატის» დამატებად 1900 წ. და 1901 წ.<sup>2</sup> იგი ეჩმიაძინის ხელნაწერთა კოლექციის სამი ხელნაწერის (მაგრამ მიუთითებელის) მიხედვითაა გამოქვეყნებული, როგორც ამას ერთ-ერთ სქოლიოში (ნ. 1900 წ. გვ. 504) აღნიშნავს გამომცემელი და არა ორის მიხედვით, როგორც ეს პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს აქვს შენიშნული<sup>3</sup>. გამოცემისათვის გამოყენებული ძირითადი ხელნაწერი, როგორც შედარებამ გამოარკვია, არის ის ნუსხა, რომელიც პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს აქვს დასახელებული და რომელზედაც მისთვის მიუთითებიათ ეჩმიაძინს, ე. ი. № 631<sup>4</sup>. ამ ხელნაწერით ტრაქტატი დასათაურებული არაა. გამომცემლის მიერ ფრჩხილებში მოყვანილი სათაური პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს გამომცემლის ნახელავი ჰგონია, როცა ამბობს, რომ ტრაქტატს «უსათაუროდ მოუღწევია ჩვენამდე»<sup>5</sup>. მაგრამ ეს სწორი არ გამოდგა. ხელნაწერებზე მუშაობისას ეჩმიაძინში, უკანასკნელ დროს, ხელთ ჩამივარდა ისეთი ნუსხა, რომელიც ნამდვილად ატარებს გამომცემლისაგან ფრჩხილებში ჩასმულ სათაურს: *Թուղթ Մխիթար վարդապետին, որ Գոշ կոչւի* (ნ. ეჩმიაძ. კოლექცია № 296Է).

\* წაკითხულია მოხსენებად თბილ. სახელ. უნივერსიტეტის არმენოლოგიის კათედრის საჯარო სხდომაზე 1937 წ. 17 დეკემბერს.

<sup>1</sup> მხითარ გოშის ბიოგრაფიისა და შემოქმედებისათვის ნ. პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის ნაშრომი «ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი», ტფ. 1928, გვ. 214—237.

<sup>2</sup> «Արարատ» 1900 წ. გვ. 497—504, 562—568; 1901 წ. გვ. 55—61, 121—127.

<sup>3</sup> პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, ჩრდ. მხარ. სომ. მოძღვარნი, გვ. 238.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 238, შენიშვნა.

<sup>5</sup> პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, ჩრდ. მხარეთა..., გვ. 238.

სომეხთმეტყველნი, კერძოდ კი საეკლესიო ისტორიაზე მომუშავენი, ამ ძეგლს იყენებენ თავიანთ შრომებში<sup>1</sup>, მისგან იღებენ ცნობებს, მაგრამ მის რაობას ჯერ-ჯერობით ისე არაფერს შეჰხებია, როგორც პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი. უკანასკნელს იგი განხილული აქვს ცალკე თავად თავის ნაშრომში: «ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი» (ნაწილი III, თავი IX). მკვლევარის თქმით იგი «სომეხ-ქართველთა ურთიერთობისათვის, კერძოდ სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების, საკითხის შესასწავლად ფრიად მნიშვნელოვან და ორიგინალურ წყაროს წარმოადგენს, რომელშიაც საერთოდ მდიდარი მასალაა წარმოდგენილი ისტორიული კონცეპციით»<sup>2</sup>. მასვე ჰგონია, რომ მხითარი «ამ საკითხს საგანგებო დაეაღებთ სპეციალურად ეხება 1197—1205 წლებში ტფილისსა და 1205—1207 წლებში ლორესა და ანისში მომხდარ საეკლესიო კრებებთან თითქოს დაკავშირებით»<sup>3</sup>. ქვემოთ კიდევ მისი წარმოშობის საბაბზე იგი ამბობს, რომ «ეს წერილი გამოწვეული უნდა იყოს იმ ამბებით, რომლებიც თამარის მეფობაში მოხდა, მაგალითად 1197 წლის სომეხ-ქართველთა შეტაკებით, ანუ ე. წ. «ალაჯორთა» მარხვის შესახებ შეთხზული პამფლეტებით-ო»<sup>4</sup>. ამრიგად ძნელია საზოგადოდ იმის თქმა, თუ რომელი კონკრეტული შემთხვევა გახდა საბაბი ამ შრომის დაწერისა, მაგრამ, რომ დიოფიზიტთა წრიდან, კერძოდ ქართული ეკლესიის წიაღიდან გამოსული წერილობითი გარკვეული წყარო უდევს საპასუხოდ წინ და სარგებლობს ზოგჯერ კიდევაც მით მხითარი, უდავოა, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ.

მხითარის ტრაქტატი, როგორც გარკვეული ხასიათის დოკუმენტი, საგანგებო გეგმით არის შედგენილი. იგი მიმართულია მხარგრძელებისადმი. ეს მიმართვა სწორედ დასაწყისშივეა მოცემული. ტრაქტატს მთლიანად მხითარი *գծագրութիւն*-ს, ე. ი. «აღწერილობას ეძახის»<sup>5</sup>, ხოლო მხარგრძელებისადმი მიმართვას — *ნაխაդրութիւն*-ს, ე. ი. «წინდებულებას», ანუ დღევანდელი ტერმინი რომ ვიხმაროთ — «შესავალს, წინასიტყვაობას»<sup>6</sup>. წინასიტყვაობაში მხითარი თავისი «აღწერილობის» ძირითად მოტივებს ეხება და შლის მათთან დაკავშირებით თავისი შრომის გეგმას. ქართველთა (იგულისხმება საერო და უფრო კი საეკლესიო წრეების მაღალი ფენა) ძვირის თქმამ ჩვენი სარწმუნოებისა და საეკლესიო აღსარების შესახებ, და ნამეტნავად იმან, რომ თქვენ — მიმართავს მხარგრძელებს — დასაჯერებლად მიგიჩნევიათ მათი ნათქვამი, მომიწყლა გული და მრბაყოფინა ხელი, მომეცა ჩვენი სარწმუნოების ჭეშმარიტი სახეო (*սահարիւնակ*), ამბობს ამ წინასიტყვაობაში ავტორი. მიზანი კი ყოფილა, როგორც

<sup>1</sup> *Աբր. Զամիւն — Հայոց եկեղեցւոյ Պատմութիւն, Ա. մաս, II սպազր. 1914*, ՅՅ. 225—226.

<sup>2</sup> იქვე, ՅՅ. 239.

<sup>3</sup> იქვე, ՅՅ. 240.

<sup>4</sup> იქვე, ՅՅ. 243.

<sup>5</sup> *Զայս գծագրութիւնն սակաւօք հարկաւոր կարծեալք სղսք յողագս Վրաց...* *Ար.* 1900 წ. ՅՅ. 497.

<sup>6</sup> *«Եւ արդ, զի նախ առ ձեզ են, նախադրութիւն բանիս... Զաքարէ և Իւսնէ...»* (იქვე, ՅՅ. 497).

ის ამბობს, დაემტკიცებინა ბერძნებთანა და ქართველებთან შეერთების (იგულისხმება სარწმუნოებრივის) შეუძლებლობა, რისთვისაც მათ, ე. ი. სომხებს თურმე ბრალს სდებდენ. მხითარი იქვე იმასაც ამბობს, რომ ამ მტკიცებასთან ერთად, ისიც მოვეცი, თუ რა უნდა ქმნას ხალხმა ასეთი შეერთების შეუძლებლობის შემთხვევაშიო. საგანგებოდ ვებები აგრეთვე, განაგრძობს დოკუმენტის ავტორი, თუ როგორ უნდა ვეპყრობოდეთ მწვალებელთ სარწმუნოებაზე მიქცევის დროს, კერძოდ—სომხებს, ბერძნებსა და ქართველებს, რომელთა ხელახალი მონათვლა, როგორც ქრისტიანისა, მიუტევებელიაო; მონათვლის ნაცვლად აღთქმაა საჭირო და მისთვის საჭირო ლოცვასაც ვიძლევიო. მიმართვის დასასრულს იმასაც აუწყებს მხარგრძელებს, რომ ქართული ეკლესიის წინამძღვრებს მივწერე წერილი და მერმე შეეხებ ჩვენს აღსარებასა და წესებსო.

რად მიმართავს მხითარი მხარგრძელებს? თვითონვე იძლევა ამაზე პასუხს: «თქვენ შემძლე ხართ, გაფიცებული ეგ ბრძოლა გმობისა და შრიტოთ სიბრძნითა და დამაჯერებელი სიტყვით, თუმცალა შეუძლებლად ვაჩვენებთ კრების შეყრას და შეერთებას-ო»<sup>1</sup>.

ამ მცირე წინასიტყვაობიდან ნათლად ჩანს, რომ XII ს-ის საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში საკითხი მდგარა ეკლესიათა და აღსარებათა ერთიანობისათვის. შემფერხებლად ამ ერთობისა სომხები ყოფილან მიჩნეული. სომხების მიმართ ძვირისა და გმობის ბრძოლა გაჩაღებულა, რაც მათი სარწმუნოების და წესების დაწუნებისა და განქიქების ხაზით წარმართულა. ისე გამწვავებულა ეს ბრძოლა, რომ სომეხთა სარწმუნოებიდან მოქცევის დროს, ან პირუკუ, ერთიმეორეს ისე მოპყრობიან, როგორც არა-ქრისტიანებს.

მართლაც, თვითვე ამ მოვლენას ამ დროის სხვა საისტორიო წყაროებიც ამტკიცებენ. ეკლესიათა ერთობისა და თანაბარი წესების გამომუშავებისათვის სომხური საისტორიო წყაროების ცნობით კრებებიც კი ყოფილა მოწვეული (მაგ. ლორესი—1205 წ., კირაკოსით<sup>2</sup>, და ანისისა—1207 წ., კირაკოსით<sup>3</sup>; უარდანი თ ორივეს შესახებაა ერთად საუბარი<sup>4</sup>). პაექრობასა და სარწმუნოების ორტოდოქსობის საკითხის გარკვევისათვის სომეხ-ქართველთა სამღვდელოებრს შეკრების შემთხვევასაც არა ერთხელ ჰქონია ადგილი, როგორც ამას «ქართლის ცხოვრება» აღნიშნავს. ძვირი და გმობა, ერთი სიტყვით, დოღმატიკურ-პოლემიკური ბრძოლა სომეხთადმი ლიტერატურული გზით მეტად მწვავე შეიქმნა XI—XII საუკუნეებში. ბერძნული ლიტერატურიდან ამ დროს ქართულად იღებენ ყველა იმას, რაც სომეხთა სარწმუნოების განსაქიქებლად იყო შექმნილი. წრავალი მათგანი დოღმატიკურ-პოლემიკურ კრებულებშია შესული, სხვა მწვალებელთა განსაქიქებელ ნაწერებთან ერთად. თუ რადარა ასეთი ნაწე-

<sup>1</sup> «Արարատ» 1900 წ., გვ. 497: «են դուք բաւական էք զսաստկացեալ պատերազմդ հայ-հոյուճեան շէջուցանել իմաստութեամբ և հաւանելի բանիւ, թէպէտ և անհարց ուղտաբ զժողովն լինել և զմիբարանութիւն»:

<sup>2</sup> Կիրակոս 89—88.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 89—88.

<sup>4</sup> Վարդան Բարձրբերդեցի—Պատմութիւն Տիեզերական, ի լոյս ընծայեաց Մկրտիչ Էմին, Մոսկվա 1861, გვ. 183.

რო მოგვეპოება ქართულად, ყველანი აღნუსხული აქვს პროფ. კ. კეკელიძეს<sup>1</sup>. ხოლო თუ რომელი ძვირის მთქმელი ნაწერი თუ ნაწერები იყო, რომელიც მხითარს აქვს მხედველობაში, და რა გზით შეეძლო იგი გაეცნო მას, ამის გარკვევას ვისახავთ სწორედ მიზნად ამ წერილით. მაგრამ ჯერ ისევ ტრაქტატს დავებრუნდეთ.

მხარგრძელებისადმი მიმართვას, ანუ «აღწერილობის» წინასიტყვაობას, მხითარის ეპისტოლე მოსდევს, რომელსაც სათაურად აქვს: «მცირე რამ ამ ეპისტოლის ხახე» (*Φιξηρ ἰς τὴν Ἐπιτοίαν ἁπλῆσασκα*). ეპისტოლესაც თავისი წინასიტყვაობა გააჩნია. იგი მიმართულია ქართველთა კათალიკოზისადმი და საერთოდ საეკლესიო მოღვაწეთადმი. აქაც იგი ასახელებს ეპისტოლის დაწერის საბაბს; ეხება მიზანსაც, ე. ი. მტკიცებას, რომ ძნელია ერთმორწმუნეობაზე მოსვლაო და დასძენს, ვათითებ მასზე, თუ რა უნდა ვქნათ ასეთ მომენტში და აცხადებს, რომ ჩვენი წერილით კეშმარიტ აღსარებას ვაჩვენებთ და არც ჩვენი ერის ცუდსა და სხვათა საქებელს ვმაღავო. არწმუნებს ფიციტ ქართველ სამღვდლოებას, რომ «რაც სომეხთა აღსარებისათვის დამიწერია მაგ წერილში, ნამდვილად ეგრეა და ვისაჟო უფლისაგან, თუ სომეხთა პირ(მოთწეობ)ისათვის (*ἐκβαση*) სიცრუე დამეწეროსო»<sup>2</sup>. იქვე გამოთქვამს სინანულს, რომ «უმეტრებით, რომელიც ვერავინ შეგაგნებინათ თქვენ, დგებართ და არისებთ ქრისტეს და თქვენ ერს ამხედრებთ სომეხებზე, რომ ურია და ტაკიკი უმჯობესია სომეხებზეო»<sup>3</sup>, ე. ი. ნუ სთვლით სომეხებს მწვალებლადო. მხითარი აქაც შენიშნავს, რომ ნოქცეულ სომეხს, ბერძენსა და ქართველს ხელახალი მონათვლა არ ესაქიროება, არამედ აღთქმა სათანადო ლოცვით, რომელსაც—ამბობს იგი—აღწერილობაშივე ვიძლევიო. დასასრულ სთხოვს ქართველ სამღვდლოებას კათალიკოზის სახით, მოსპოს გმობა და შეაჩეროს უწესო ნათვლა, რაც თქვენ შეგიძლიათო. ამასთან ეხვეწება მას, რომ თუ მისი ეპისტოლე სათნო დარჩება მისთვის (ე. ი. კათალიკოზისათვის), მაშინ გააცნოს მეფეებსაც—თამარსა და დავითს,—რომლებიც მშვიდობისა და სიყვარულის მობაძაფნი არიანო. სხვათა შორის ამასვე სთხოვს მხითარი თავისი «აღწერილობის» ბოლოს მხარგრძელებსაც.

როგორც ვხედავთ, ამ მიმართვიდანაც თითქმის იმასვე ვიტყობთ, რასაც წინა განხილულიდან, რომელიც მხარგრძელებისადმი იყო მიმართული მისი წრომის დასაწყისშივე. დამატებით მაინც ისაა აქ ახალი, რომ ძვირისა და გმობის გამჩალებლად სომეხთა მიმართ სამღვდლოება ჰყავს გამოყვანილი, რომელსაც—მისი თქმით—შეუძლია მოსპოს იგი და შეაჩეროს უწესო ნოპყრობაცო. მხითარი მართლაც არ სცდება,—ზემოთ აღნიშნული სომეხთა საწინააღმდეგო ძვირისა და გმობის ლიტერატურა ქართველი სამღვდლოების წიაღშია აღმოცენებული.

თვითონ თავის საგანს იმით იწყებს მხითარი, რომ მწვალებლობა ამქვეყნად მაცთურისაგან არის დათესილი, კაცთა ამპარტაფნებისა და გაუგონ-

<sup>1</sup> პროფ. კ. კეკელიძე—ქართ. ლიტ. ისტორია, I, გვ. 539—540.

<sup>2</sup> *Արարատ* 1900 წ. გვ. 497.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 497.

რობის სენმა აღაორძინა იგიო. მაცთურისაგან შემცდარნი «არ კმაყოფილდებიან თავიანთი სნებით, არამედ ცდილობენ შეაღდინონ ისინიც, რომლებიც წრფელი გზით მიდიან, რათა დაატოვებინონ სამი წმ. კრების ჭეშმარიტი სარწმუნოება»<sup>1</sup>. ამის შემდეგ იგი აღწერს სამივე კრებას და მათი შეკრების მიზანსა და დადგენილებებს. ეხება მომდევნო კრებებსა და მათი შეკრების საგანს დაწერილებით ჩერდება უკანასკნელზე, — ქალკედონის კრებაზე, — და მის ისტორიას, ცხადია, ანტიქალკედონისტური თვალსაზრისით გადმოსცემს. აქვე ჩამოთვლის მის არშემწყნარებელთ და მათ რიცხვში სომხებსაც ასახელებს. ამრიგად, ბერძნები და ქართველები რომ მარტო სომხებს თვლიან ქალკედონის კრების არშემწყნარებლად, ეს სწორი არააო. მერმე სომხეთის ადგილობრივი საეკლესიო კრებების ისტორიას მოგვითხრობს გრიგოლ განმანათლებელიდან მოკიდებული მანასკერტის კრებამდის, რომელმაც საბოლოოდ დაგმო ქალკედონის კრებაო. საგანგებოდ ჩერდება ქართული ეკლესიის დამოკიდებულებაზე ამ კრებებთან<sup>2</sup>. სხვადასხვა აღსარებასთან ერთად სხვადასხვა საეკლესიო წესებიც არის ჩამოყალიბებული სხვადასხვა ერშიო, განაგრძობს მხითარი. მოკლედ მას აქ მოჰყავს ის განსხვავებები, რომლებიც საეკლესიო წეს-ადათებს შორის სუფევს ქრისტიან ხალხთა შორას. ეს მრავალსახეობაც მისი აზრით ამპარტავენებისა და მაცთურისაგანაა, აგრეთვე უმცერებისაგან და, რაც მთავარია, «თვითუფლებისაგან» (*անձնալիքսանութեամբ*), რის გამო შეუძლებლად მიგვაჩნია ერთიანობაზე მოსვლაო.

ამ ისტორიული ექსკურსის შემდეგ მხითარი სომეხთა სარწმუნოების აღსარებას ეხება. «აწ ვიწყოთ სამების აღსარებითაო<sup>3</sup>, ამბობს იგი და ამ საკითხში მოწინააღმდეგეთა კრიტიკისაგან იცავს სომხური მონოფიზიტის შებენილებას და მას საეკლესიო ცნობილი მოღვაწეების წერილთა წამებით ამგარებს. ამ გზით იგი ყველგან იცავს თავისი აღსარებისა და ეკლესიის წეს-ადათებს ძვირის მთქმელთაგან. მუხლობრივ არჩევს ბრალდებებს და ბოლოს დაასკვნის, რომ მთავარ საკითხებშიაც კი არაა თანხმობა თუნდ საეკლესიო კრებების მომწვევ ოთხ ძირითად ხალხს შორის, როგორიცაა ბერძნები და ჰორომნი, სომეხნი და სირიელები, და როგორ იქნება სხვებს შორისო. ამიტომ მას შეუძლებლად მიაჩნია გაერთიანებაც. უმჯობესად მას ის მიაჩნია, რომ როგორმე აღმოიფხვრას ძვირი და გმობა და დამყარდეს ხალხთა შორის მეგობრობა და ერთიმეორის წესთა პატივისცემა. საუბედუროდ ეს არ ხდება და ამის მიზეზია, რომ ბერძნები და ქართველები იმდენად ძვირის მტყუველნი არიან სომხებისა, რომ მათ ნაკურთხ ეკლესიასა და საკურთხეველსაც კი ანგრევენო<sup>4</sup>. ამასთან «ახლად ნათლავენ ერთმანეთს, რაც კანონთა წინააღმდეგიაო»<sup>5</sup>. დასა-

<sup>1</sup> *Արարա* 1900 წ. გვ. 498.

<sup>2</sup> თუ რა სომხურ წყაროებს იყენებს ამ ისტორიის გადმოცემისას მხითარი, ეს გარკვეული აქვს პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს წიგნში: «ჩრდ. მხარეთა სომეხთა მოძღვარნი...», გვ. 243—245.

<sup>3</sup> *Արարա* 1900 წ., გვ. 562.

<sup>4</sup> *Արարა* 1901 წ., გვ. 122.

<sup>5</sup> *Արարა* 1901 წ., გვ. 123.

სრულ მას მოქცეულ სხვადასხვა მწვალებელთა შესაწყნარებლად ლოცვები მოჰყავს, რომლებიც პირველ მამათაგანაა ნაანდერძევიო. მას მაინც დღესასწაულთა, მარხვათა თუ სხვა წესების საკითხში არსებული სხვაობა არ მიაჩნია სარწმუნოებათა გამთიშავად და ამდენად ძირითად სადაო საკითხადაც, რომ ხალხთა მტრობა და გადაკიდება ატყდეს მისთვისო. სომეხთათვის ყველაზე მეტად საკიცხავ ადათად იგი იმას მიიჩნევს, რომ მათი მღვდელ-მთავრები ხელდასმისათვის წინასწარ იღებენ სასყიდელს, უცხო ტომთათვის ხარკის მომიზნებით, რაც ახალი მოვლენაა და გამოწვეულია მათი სილატაკითო.

ბოლოსიტყვაობაში, რომელიც კვლავ მხარგრძელთადმია მიმართული, მხითარი გამოთქვამს რწმენას, რომ თუ მსოფლიო კრების მოწვევას ვერ შეძლებენ ქართველი მეფეები—თამარ და დავით,—რაც მას არ სჯერა, იმას მაინც შეძლებენ, რომ ქართველ-სომეხთა მტრობა აღმოფხვრან<sup>1</sup>. ამ მხრივ კი სთხოვს მხარგრძელებს, იშუამდგომლონ მეფეთა წინაშე, რომ მათ «მეფური ხელმწიფებით დასდვან რისხვა, რათა არ დაეზგრაონ ეკლესიები და დაუწვან ჯვარი»<sup>2</sup>. ამრიგად მხითარი, თუ სამღვდელოებას იმას სთხოვდა, რომ აღმოფხვრათ ძვირი და გმობა სომეხთადმი, ასევე მეფეებს იმას სთხოვს, რომ არ ინგრეოდენ ეკლესიები და არ იწვოდენ ჯვრები.

ეჭვი არაა, რომ მხითარისათვის ამ გულის საწყლავ ამბებში, აშკარად ჩანს დიოფიზიტური ქართული ეკლესიის დამოკიდებულება, უკანასკნელის თვალსაზრისით, «მწვალებელ სომეხთადმი». ძვირის და გმობის აღნიშვნით ხაზგასმულია ქართული ეკლესიის აგიტაცია, პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, სათანადო ლიტერატურული ტრაქტატებით, რომელთაგან ცალკე კრებულებიც კი დგებოდა ამ დროს, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ. ეკლესიათა ნგრევა და ჯვართა წვა კიდევ იმას უნდა მოასწავებდეს, რომ ერთი ეკლესია იკრება მეორეში და მათ გვერდით თუ მათ ნაამაგარზე თავისას აფუძნებს. ესეც არაა უცხო ამჟამი იმ დროისათვის. სომხეთის მიწა-წყალზე არა ერთი და ორი «ქართველთა» სავანე იხსენიება ამ დროს. ტერმინი «ქართველი», როგორც აკად. ნ. მარმა დაამტკიცა<sup>3</sup>, დიოფიზიტურს ნიშნავს ამ დროისათვის, იქნება იგი მარტოოდენ ქართველთა თუ სომეხთა ელემენტებისაგან შედგენილი. მათი საშუალებით ხდებოდა სწორედ იმ ძვირისა და გმობის, ე. ი. დოგმატიკურ-პოლემიკური ქართული ლიტერატურის შექრაც სომეხთა წრეებში თარგმანების სახით, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ.

მხითარს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიტყვის გასაცემად ხელთ აქვს ქართული ეკლესიის წიალიდან გამოსული გარკვეული ანტი-სომხური, უკეთ ანტი-მონოფიზიტური, ნაწერები. ამ დროს ასეთი ნაწერების უმეტესობა სა-

<sup>1</sup> შდ. *სტარაია* 1901 წ. გვ. 126, სახელდობრ: «*ბი არე ქტაქსო ს რარხაჯო ქაფა-ლირბ მბრ ჯბნ წადაქან' რამარ ს ჴაბიქ, თხეფერაქთან ძივიქ თანხქ თამბაქან აყდაყ, ქანს იხითარიქთან წილსაყ ს ჴიომაქსვიყ ს აქიყ აყდაყ, აქ სათობიქ ჯბირაღბს ჴარიყ ხს ვლაქიყ ს ვლყაყ ქბსამიქსტან წაბსაქ...*»

<sup>2</sup> *სტარაია* 1901 წ., გვ. 127.

<sup>3</sup> Н. Марр, Иоанн Петрицкий, Груз. неоплатоник XI—XII века. СПб., 1909, გვ. 8—9.

განგებო კრებულებშიაც კი შედიოდნენ. ერთი ასეთთაგანია «დოღმატიკონი», რომლის ქართული რედაქცია, როგორც უკვე ცნობილია<sup>1</sup> არსენ ვაჩხიძეს ეკუთვნის. ამ კრებულში, როგორც უკვე აღნიშნულიცაა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, სომეხთა საწინააღმდეგოდ (მონოფიზიტ სომეხთა, რადგან მაშინ სომეხი სახელი, ეს მარტო ერის აღმნიშვნელი სახელწოდება კი არ იყო, არამედ იგი კონფენსიონალური გაგებითაც იხმარებოდა) რვა სტატიაა შესული: 1. «თავნი სომეხთა წვალეზისანი ოცდაათნი»; 2. «შეჩუენებანი იაკობიტთა და ყოველთა ერთბუნებიანთანი, რომელთა თანა არიან სომეხნიცა»; 3. თომა ერუსალემელის «ეპისტოლე... სასომეხთოჲსა მწვალებელთა მიმართ»; 4 ნიკიტა სტითატის — «სიტყუაჲ განსაქიქებელი მგმობრისა პის წვალეზისა სომეხთაჲსა», რიცხვით—ხუთი. სხვაც მრავალი ჩანს ქართულ მწერლობაში სომეხთა აღსარების განმაქიქებელი ნაწერი, მაგრამ, როგორც ირკვევა, მხითარი და საერთოდ მაშინდელი სომეხური სამწერლო წრეები მხოლოდ არსენის «დოღმატიკონში» შემავალთ იცნობდნენ და განსაკუთრებით მათგან ზემოთ დასახელებულ პირველ ორს. ესენია: «თავნი სომეხთა წვალეზისანი ოცდაათნი» და «შეჩუენებანი იაკობიტთა და ყოველთა ერთბუნებიანთანი, რომელთა თანა არიან სომეხნიცა». ერთიცა და მეორეც უსახელო ავტორისაა. პირველში ჩამოთვლილია დიოფიზიტთაგან, ამათ რიცხვში ქართველებისაგანაც, სომეხთადმი წაყენებული 30 მუხლელი ბრალდება. მეორე კი შეჩუენების ანუ წყევის ფორმულაა, გამომუშავებული ხსენებული ბრალდების ნუხლთა მიხედვით. უკანასკნელს ბოლოში დართული აქვს მოქცეული მონოფიზიტისათვის წარმოსათქმელი ფორმულა, — გამიჯვნისათვის წვალეზისაგან ლოცვის სახით.

საიდან ჩანს, რომ მხითარი ხსენებულ ძეგლებს იცნობს? ეს პირველ ყოვლისა იქიდან ირკვევა, რომ მხითარი პირველი ტრაქტატით სომეხთადმი წაყენებულ თითქმის ყველა ბრალდებაზე იძლევა პასუხს, თუმცა ხშირად არა იმ რიგით, რომლითაც ბრალდებებია დალაგებული. მხითარი რომ ამ ძეგლებს იცნობს, ეს განსაკუთრებით მეორე წერილიდან შევამჩნევდებ, სახელდობრ, — მისი ბოლო ნაწილიდან, სადაც დიოფიზიტიზმზე მოქცეული მონოფიზიტ მწვალეზისათვის ლოცვაა დადებული. მხითარი მას საკუთარი ლოცვითვე უპასუხებს, ოღონდ მონოფიზიტური განკარგვით. ეს ლოცვები თითქმის ერთი და იგივე სიტყვითა და ფორმით მიმდინარეობენ, სხვაობა უფრო ზოგერთი ადგილის ფორმულირებაში ჩანს, რაც უკვე სოფლმხედველობას ეხება და არა სხვა რამეს. ასეთ ადგილებს თუ ცალკე გამოვარჩევთ, თანაშემხედრა ზედმიწევნითი გვექნება:

ყოველნიმცა მწვალებელნი შეჩუენებულ არიან, რამეთუ ვიჯჳნი სჯულთაგან მათთა და მათგან, რომელნი თანა სათნო ეყოფენ მათ და რომელნი თანამზრახველ და ერთნება არიან მათდა სარწმუნოებისათჳს, და რომელნი კამენ მათ თანა და ყოვლისა მწვალებე-

*«სიღიქხაჲ (აჳს ანიონ) სერბილათ, კირილ ქარს (V. ძერს) ჳ, ს ნაღარაჲქჳდ ზირა (V. ზირქს) ს სირიიჳს გზირაჳს, ჳანაჲქ რეაჲქჳქჳქ ქ ნამანს ს კამხნაჳს სერბილათაჲს ზირა კაღანაჲიჳს, ს ნაღარაჲქჳდ ქ მქ მქერ ს მქ ანაჲსაჲს აიღერ სერ-*

<sup>1</sup> პროფ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, გვ. 293—297.



სა შენსა თანა აღირაცხოს ესეცა, სადიდებულად და საქებულად შენისა (ამაღლებამ), რამეთუ შენი არს სუფევეამა.

და სცხოს მას წმიდაა მიჭრონი ვითარცა ახალმონათლეთა და მათვე სიტყუთა იტყოდეს, სცხებდეს რამა, რომელთა იტყვას ახალმონათლესა ზედა: *ლო, ღმერთო ჩუენო, რომელმან ღირს ჰყავ სრულიად გამოჩინებასა მონა ესე შენი (სახელით), შენდა მომართ მართლითა სარწმუნოებითა დასაბუქდავსა წმიდისა მიჭრონისა შენისასა, შენ, მეუფეო ყოველთაო, დაიცევ მის შორის შენდა მომართი კენზარიტი სარწმუნოებამ და აღაორძინე ესე სიმართლესა შინა შენსა და ყოველთავე მადლთა შენთა მიერ შეამკვე.*

და შემდგომად ახიაროს.

რა გზით იცნობს მზითარი სომეხთა მანხილებელ ხსენებულ საბუთებს? ეს დოკუმენტები და სხვა ამგვარები, როგორც მაგ.: *«თუ რომელთა პირთათვის შეაჩუენებს სომეხთა წმიდაა კათოლიკე ეკლესიამა, რომელიც ქართულად გამოქვეყნებულიცაა<sup>2</sup> და ძლიერ ჩამოჰგავს ჩვენს მეორე ტრაქტატს, ბერძნულიდან მომდინარეობენ<sup>3</sup>. ამიტომ მზითარს შეეძლო აქიდანაც სცოდნოდა, მაგრამ ვინაიდან იგი დაჟინებით იმეორებს, რომ ძვირი და გმობა ქართველებსაგან ფიცხდებოა, თუ ვიგულისხმებთ, რომ ექლიტერატურული სახის ძვირი და გმობა, ე. ი. პოლემიკა იგულისხმება, უნდა ვიფიქროთ, რომ მას სწორედ ქართულიდან იცნობს.*

ქართულიდან სომეხურად ძველად ნათარგმნი ძეგლების შესწავლის დროს გაირკვა, რომ XII და XIII ს. ს-ში სომეხთა ვარკვეული წრეები, სახელდობრ დიოფიზიტური წრეები, დაინტერესებული ყოფილან სხვა ფილოსოფიურ-მორალურ ძეგლებთან ერთად ქართული რედაქციითაც *«დოლმატიკონისა», რომლიდანაც შერჩევით ზოგიერთი მისი შემადგენელი ნაწილი უთარგმნიათ კიდევაც. ასეთია: 1. იოანე დამასკელის «დიალექტიკა» და «გარდამოცემა» მისსავე სხვა ოთხ სტატიასთან ერთად—ორთა ნებათათვის..., ნესტორიანთა და იაკობიტთა საწინააღმდეგოებითურთ (სამად არის წარმოდგენილი სომეხურ თარგმანში, რადგან ნესტორიანთა საწინააღმდეგო ორი სტატია გაერთიანებულია თარგმანში); 2. ეესტრატი ნიკიელის ჰრომთა განმაქიჭებელი ნაშრომი. 3. უსახელო ავტორის «სიტყვს გებაა ჰურიათა მიმართ»; 4. უსახელო ავტორისავე სომეხთა სა-*

<sup>1</sup> *Մեծութեան* ალბათ ქართულის «ამაღლებამა» შესატყვისია. თუ ასეა, მაშინ მზითარს იგი ტექსტის კუთვნილებად მიუჩნევია, რაც, ცხადია, სწორი არაა.

<sup>2</sup> «საქართველოს საშობზე», გვ. 633—635.

<sup>3</sup> პროფ. კ. კეკელიძე—ქართ. ლიტ. ისტორია, I, გვ. 540; შდ. *Գրոց. Լ. Մեխիդ-սեթ-բեկ* — *Վրաց աղբյուրները Հայաստանի և հայերի մասին*, *հատ. Ա.* გვ. 126—127.

*զուգաթուխցի և սախի փառս և խ դիւլ-  
թխն մեծութեան<sup>1</sup> քո, զի քո է զա-  
րուլ թխն և փառք այժմ և յաւի-  
տեանս յաւիտենից, ամէն:*

*Եւ որպէս յոռաջն սասցի, աւ-  
ծանէ զնա որպէս նորինիք, և դարձեալ  
աղաթէ զայս. «Տէր Աստուած մեր, որ ար-  
ժանի արարեր վերայսոյն կատարել ծա-  
ռայի րի (դայասնուն) ի ձեռն որ ի քեզ  
ուզգափառ հաւատով և կնքոյ սուրբ մնու-  
նի, զու Տէր ամենայնի, զառ ի քէն ճմա-  
րիտ հաւսի սա հաստաց, զարդացն զսա  
արդարութեամբ. և ամենայն շնորհաք զար-  
դարեա. Քան զի աւրհնի և փառա-  
ւորի ամենսպատիւ և մեծապայ-  
լուչ անունդ Հաւր և Որդոյ և  
սուրբ Հոգոյդ այժմ և միշտ և  
յաւիտենանս յաւիտենից, ամէն»:*

წინააღმდეგო სტატია—«თავნი სომეხთა წვალეზისანი ოცდაათნი», რომელიც შემაღვენელი ნაწილი ჩანს ერთი ვრცელი სტატიისა, რასაც სომხურად ეწოდება: *«Պատասխանի սու Հայս»* («სიტყვს გებაჲ სომეხთა მიმართ»), ამ სტატიის დანარჩენი ნაწილის შესატყვისი კი ქართულში არ ჩანს<sup>1</sup>. საფიქრებელია, რომ სომხურად ნათარგმნი იქნებოდა «დოღმატიკონიდან» სომეხთა შეჩვენებაც სხვა მისგან თარგმნილ სტატიებთან ერთად, რადგან, როგორც ზემოთ აღნიშნულმა შედარებამ გვიჩვენა, იგიც სცოდნია და გამოუყენებია მხითარ გოშს.

«სიტყვს გებაჲ სომეხთა მიმართ» სომხურ ხელნაწერებში წარმოდგენილი სათაურის მიხედვით იოანე დამასკელისა ჩანს. იგი აქ შემდეგნაირადაა დასათაურებული: *«Նորին Մովհաննու Ռամասկացի» Պատասխանի սու Հայս, համառոտեալ»* (მისე იოანე დამასკელისა—სიტყვს გებაჲ სომეხთა მიმართ—შემოკლებული). ასეა იგი წარმოდგენილი ეჩმიაძინის ხელნაწერებს გარდა იმ ხელნაწერშიაც, რომლის მიხედვით არის კიდევაც განოცემული *«Այս»*-ის 1905—1906 წ.წ. ნუმრებში. იოანე დამასკელისად გამოცხადებულია არა მართო ხსენებული სიტყვისგება, არამედ მის შემცველ კრებულებში შესული უაეტოროდ აღიარებული სხვა ნაწარმოებებიც, რომლებიც ქართულიდან არიან სომხურად ნათარგმნი. მხედველობაში მაქვს კერძოდ «სიტყვს გებაჲ ჰურიათა მიმართ»<sup>2</sup>. ამრიგად ის მოვლენა, რომ «სიტყვს გებაჲ სომეხთა მიმართ» იოანე დამასკელს მიეწერება, არაა გასაკვირველი, შემთხვევითია იგი. სომხურს ნუსხებში ეს იმის გამო მოხდა, რომ იგი ზოგიერთ სხვა უაეტოროდ თუ ავტორიან სტატიასთან ერთად იოანე დამასკელის ძირითადი შრომების («დიალექტიკასა» და «გარდამოცემაჲ-ს») აქვს დართული.

«სიტყვს გებაჲ სომეხთა მიმართ-ის» იოანე დამასკელისადმი მიწერას ალბათ იმანაც შეუწყო ხელი, რომ იგი თავიდან ისე იწყება, თითქოს მისი ავტორი სირიელი იყოს.—*«ՆԷ արդ՝ իմ մինչև ցարդ ևս ընդ համագեհայն իմոց խօսելով Ասորոց, ցաւօք սրտի, սիրով, աղպանօք խրատել աշխատասիրեցի...»* (და აწ, აქამომომდისლა თანამონათესავეთა ჩემთა ასურათათვს ვიტყვი გულისა ტკივილითა, სიყუარულითა და ვედრებითა, და ვილუაწე განწერთნაჲ [მათი]...). იოანე დამასკელი სირიიდან იყო, ამიტომ გადამწერს ადვილად შეეძლო იგი იოანესად მიეჩნია და მის მიხედვით დაესათაურებინა კიდევაც როგორც იოანეს ნაშრომი.

იოანესია თუ არა მართლა ეს სტატია?

იოანე დამასკელის შრომათა შორის ასეთი რამ ცნობილი არაა. ამ ტექსტის გამომცემელს *Р. Կիլქսէրեხან*-ს სტატიის ზემოთ მოყვანილ დასაწყის-სიტყვებზე დაყრდნობით შესაწყნარებლად მიაჩნია, რომ ეს სტატია იოანეს ეკუთვნოდეს, თუმცაღა მისი თქმით მასში სხვისი ხელიც შეინიშნება. უკანასკნელ მოსაზრებას კი იმის კარნახით გამოსთქვამს, რომ სტატიაში დამასკელის

<sup>1</sup> ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, შოთა რუსთაველის ხანის ქართულიდან ნათარგმნი ძველი სომხური მწერლობის ძეგლები, «ენიმკის მოამბე» III, 1938 წ.

<sup>2</sup> ი კ ვ ე.



ეკუთვნოდეს, რომელსაც თავის წერილში გამოყენებული «თავნი სომეხთა წვა-  
ლებისანი ოცდაათნი» ქართული ძეგლიდან («დოღმატიკონიდან») აუღია და  
უთარგმნია მის (ძეგლის) სხვა ნაწილებთან ერთად.

«დოღმატიკონიდან» აღებული მასალის მთარგმნელად ერთ ადგილს დაგ-  
დებული მოსახსენებლით (*ქიჯასთასქაყას*) სიმეონია დასახელებული. ეს სიმეო-  
ნი აქამომდის ცნობილი იყო როგორც იოანე პეტრიწის კომენტარ-დართული  
პროკლე დიადოხოსის «კეჟშირნი ლეთისმეტყველებითის» ქართულიდან მთარგ-  
მნელი. და როგორც ბოლო დროს გაირკვა იგი აგრეთვე მთარგმნელია იოანე  
სინელის «კლემაქსისაც»<sup>1</sup>. სიმეონი დიოფიზიტია უეჭვოდ, რადგან დიოფიზიტი  
სომეხი, თორემ სხვა ვინ მოჰქვიდებდა ხელს ეთარგმნა ისეთი ანტიმონოფიზი-  
ტური შრომები, რომლებიც «დოღმატიკონიდანა» აღებული! «კეჟშირნი ლეთის-  
მეტყველებითნი» მას 1248 წელს უთარგმნია, უკვე 60 წლის მოხუცს<sup>2</sup>; მაშასა-  
დამე, იგი XIII ს-ის პირველი ნახევრის მოღვაწეა. თუ მართლაც, როგორც ამას  
ჩვენ ვამტკიცებთ, მხითარს უსარგებელია მისი თარგმანებით და მისადღე მისაჩ-  
ნევი შრომითაც: «სიტყვს გებაჲ სომეხთა მიმართ», მაშინ ეს თარგმანები და  
საკუთარი შრომაც მას «კეჟშირნი-ს» თარგმნაშდის გადაუღია, მაგრამ არა უგ-  
ვიანეს 1213 წლისა, რადგან მხითარი ამ დროს გარდაცვლილად არის მოხსე-  
ნებული ძველ სომეხ ისტორიკოსთა მიერ<sup>3</sup>. თუ 20—22 წლის ჰასაკის მქონე  
სიმეონისთვის შეუძლებელი აღმოჩნდება ამ თარგმანებისა და კერძოდ რამდენ-  
ნამდენ ორიგინალური სტატიის «სიტყვს გებაჲ სომეხთა მიმართ-ის» მიწერა, მა-  
შინ უნდა ვიფიქროთ [თუ რომ პეტრიწის შრომის თარგმნის თარიღი—დასა-  
ბამითით 6756 წ. მართლა 1248 წელს (ჩვ. წელთაღრ.) გვაძლევს<sup>4</sup>], რომ იგი-  
ნი ან სხვა ვინმემ შეასრულა 1213 წლამდის, ანდა თვითონ მხითარმა იცოდა  
ქართული. მხითარი თავისი ტრაქტატით არა მარტო მონოფიზიტ სომეხთა  
განმაქიქებელი ძეგლების თარგმანს იცნობს, არამედ სომხურად ნათარგმნ  
«დოღმატიკონის» სხვა ნაწილებსაც. როცა ის მაგალითად, ჰრომთა შესახებ აგ-  
დებს სიტყვას, იგი ისეთ მხარეებს აღნიშნავს, რომლებსაც ესა თუ ის ჰრომთა  
განმაქიქებელი თარგმნილი სტატიებიც მოგვითხრობენ. ამიტომ გვგონია, რომ  
მხითარი სწორედ სიმეონის თარგმანებისა და მისი საკუთარი შრომის («სიტყვს  
გებაჲ სონეხთა მიმართ») საშუალებით იცნობს ანტიმონოფიზიტურ ლიტერატუ-  
რას, რომელიც გამოყენებული აქვს თავის ტრაქტატში.

<sup>1</sup> ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე. შოთა რუსთველის ხანის ქართულიდან ნათარგმნი ძველი სომხური  
მწერლობის ძეგლები, «ენიმკის მოამბე» III, 1938 წ.

<sup>2</sup> ი ქ ვ ე.

<sup>3</sup> პროფ. ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი, ჩრდ. მხარეთა სომეხთა მოძღვარნი, გვ. 217.

<sup>4</sup> ეს თარიღი აკად. ნ. მ ა რ ი ს ანგარიშითაა ცნობილი; თარიღს მოხსენებული ვითა-  
რების გამო გადათვლიერება ესაჭიროება.